არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

,, მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის“

წესდება

მუხლი 1. ,,გარე განათების სამსახურის“ ცნება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი--მესტიის მუნიციპალიტეტის ,,გარეგანათების სამსახური“, შემდგომში ,,სამსახური“ დაფუძნებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

2. ,,სამსახური“-ს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

3. ,,სამსახური'' თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ წესდებით.

4. ,,სამსახური''-ს ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ წესდებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ,,ცენტრ“-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სრული დასახელების აღნიშვნით (,,მესტიის მუნიციპალიტეტი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული ,,გარეგანათების სამსახური“, იურიდიული პირისათვის კანონით დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

6. ,,სამსახური“ იურიდიული პირის უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოებში რეგისტრაციის მომენტიდან.

7. ,,სამსახური“-ს იურიდიული მისამართია: დ. მესტია, სეტის მოედანი №19; ელექტრონული მისამართი: jgvichiani@yahoo.com

მუხლი 2. ,,სამსახური“-ს მიზნები

1. ,,სამსახური“-ს ძირითადი მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ,,სამსახური"-ს ფუნქციები:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათებისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება. მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების, გარეგანათების ქსელის მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია.
2. ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.
3. შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, გვირაბების და მიწისქვეშა გადასასვლელების განათება და მომსახურება.
4. გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა პატრონობა და რეაბილიტაცია.
5. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სტრუქტურებთან და სამსახურებთან განათების სამუშაოებთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება.

მუხლი 4. ,,სამსახური"-ს ვალდებულებები

1. ,,სამსახური" ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეასრულოს ამ წესდებით განსაზღვრული მოთხოვნები და თავისი ფუნქციები.

2. პასუხისმგებელია მასზე გაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე.

3. თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

4. დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები და წარუდგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელს განსახილველად.

5. მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს ისინი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულება შედის ,,სამსახური"-ს კომპეტენციაში.

მუხლი 5. ,,სამსახური"-ს საქმიანობის ორგანიზება, მართვა

1. ,,სამსახური"-ს საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. ,,სამსახური"-ს დირექტორი:

ა) განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტის პარამეტრებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ დაშვებული ასიგნებისა და

დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესაბამისად, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

ბ) მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ადგენს და ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას, საშტატო განრიგს გამგებელთან შეთანხმებით.

გ) გამგებელთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს ,,სამსახური"-ს თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს.

დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს.

ე) ადგენს და ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

ვ) გამგებელთან შეთანხმებით დებს ხელშეკრულებებს მესამე პირებთან.

ზ) გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს ხელფასის ფონდს, რომელიც აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

თ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ,,სამსახური"-ს ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ,,სამსახური"-ს საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

ი) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ,,გარეგანათების ცენტრ"-ს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს.

კ) საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გამგებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ,,სამსახური"-ს მომსახურე პერსონალს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.

ლ) იღებს გადაწყვეტილებებს ,,სამსახური"-ს მშრომელთა წახალისებისა (ფულადი და მატერიალური წახალისება არსებული ფონდის ფარგლებში) და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გამგებელთან შეთანხმებით.

მ) არსებული წესის შესაბამისად განსაზღვრავს ,,სამსახური"-ს თანამშრომელთა დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას.

ნ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

ო) წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ადგენს და ამტკიცებს ,,სამსახური"–ს სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

პ) მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგენს ,,სამსახური"-ს წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადებებს, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ჟ) წესდებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონით დადგენილი სხვა მოქმედებები.

რ) ანგარიშვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე.

3. ,,სამსახური"-ს საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს გამგებელი, გამგეობის შესაბამისი დარგობრივი სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 6. ,,სამსახური"-ს ქონება

1. ,,სამსახური"-ს ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავი-მოძრავი ქონება), რომელიც ცენტრს გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად და წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

მუხლი 7. ფინანსები; დაფინანსება, ანგარიშგება

1. ,,სამსახური"-ს დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სუბსიდიები;

გ) ფასიანი მომსახურეობიდან მიღებული სახსრები;

დ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ვ) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ,,სამსახური"-ს და ფუნქციების განხორციელებას, სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ,,სამსახურს“ შეუძლია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები ,,სამსახური“-ს ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ,,სამსახური“-ს იჯარის ხელშეკრულებით ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა შეუძლია გამგებლის თანხმობით.

მუხლი 9. ,,სამსახური“-ს საბუღალტრო აღრიცხვა-გაანგარიშება

1. ,,სამსახური“ ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-გაანგარიშება, შეადგინოს ბალანსი და კვარტალურად წარუდგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს.

2. ,,სამსახური“-ს საბუღალტრო აღრიცხვა-გაანგარიშებას აწარმოებს ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ,,სამსახური“-ს დირექტორი გამგებელთან შეთანხმებით.

3. ,,სამსახური“ ვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას წარუდგინოს წლის გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში და საფინანსო საქმიანობის შემოწმების შესახებ აუდიტორული დასკვნა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (აუდიტის შერჩევას ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი).

მუხლი 10. ,,სამსახური“-ს საქმიანობის კონტროლი

1. ,,სამსახური“-ს საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს.

2. ,,სამსახური“-ს საქმიანობის კონტროლი გულისხმობს ,,სამსახური“-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა შესაბამისი კომისიის მეშვეობით უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ,,სამსახური“-ს საქმიანობაზე, რომელიც კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს შესაბამის მასალებსა და ინფორმაციას ,,სამსახური“-ს ხელმძღვანელობისაგან ან გამგეობისაგან.

მუხლი 11. ,,სამსახური"-ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.,,სამსახური"-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულიად გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 12. ,,სამსახური"-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ,,სამსახური"-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება ,,სამსახური"–ს დირექტორის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი